

პაპასტავროუ და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ

Papastavrou and Others v. Greece

საჩივრები no. 46372/99; 10.04.2003

მოსარჩელები ვერ ახერხებდნენ საკუთრებაში არსებული მიწის გამოყენებას, რადგან მესამე პირები იკავებდნენ მას, ხოლო სახელმწიფომ არ ჩაატარა დროული რეაგირება. სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების უფლების დარღვევა შესაძლებელია არა მხოლოდ სახელმწიფოს პირდაპირი ქმედებით, არამედ სახელმწიფოს უმოქმედობითაც — როცა ის არ იცავს მოქალაქის უფლებას.

საქმის გარემოებები

(რელევანტური ამონარიდები)

8. 1923, 1928, 1931, 1932 და 1941 წლებში სახელმწიფომ საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ვეიკოუს მამულის დიდი ნაწილის სხვადასხვა მიზნით ექსპროპრიაცია მოახდინა.

9. ფინანსთა მინისტრის მიერ 1987 წელს დამტკიცებულ და იმავე მინისტრის მიერ 1992 წელს დადასტურებულ დასკვნაში (№23/1987), სახელმწიფო ქონების საკონსულტაციო საბჭომ განაცხადა, რომ ვეიკოუს მამული სახელმწიფოს ეკუთვნოდა, რადგან ბატონი ვეიკოსის მემკვიდრეებმა ვერ დაამტკიცეს, რომ მათ საკუთრების უფლებები საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტებით ან ქონების უკანონო მფლობელობის გზით შეიძინეს. ამ დასკვნის საფუძველზე, სახელმწიფო მიწების ორგანომ ბატონი ვეიკოსის მემკვიდრეების საკუთრებაში არსებული მიწა და შემდგომში ყველა ის ნაკვეთი, რომელიც მემკვიდრეებმა მესამე პირებს გადასცეს, საჯარო საკუთრებად დაარეგისტრირა. ბატონი ვეიკოსის მემკვიდრეებისა და მესამე მხარეების მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ აღძრული სხვადასხვა სარჩელი კვლავ განიხილება ეროვნულ სასამართლოებში.

10. 1934 წელს სოფლის მეურნეობის მინისტრმა გადაწყვიტა ატიკაში ტყის განაშენიანების გაფართოვება იმ რეგიონში, რომელიც მოიცავდა სადავო მიწას. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ტერიტორია „ტყის მცენარეულობის განადგურებამდე და გაუარესებამდე ... შედგებოდა ფიჭვნარისგან, რომელიც თანდათანობით უარესდებოდა და გაქრობას იწყებდა...“ (გადაწყვეტილება №108424/1934).

11. თუმცა, ათენის სატყეო კომისიის 1968 წლის 16 ნოემბრის ქალაქგეგმარების შესახებ დოკუმენტში ნათქვამი იყო, რომ შესაბამისი ტერიტორიის ნახევარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების იყო, ხოლო მეორე ნახევარი ბუჩქნარითა და მხოლოდ ხუთი ფიჭვით იყო დაფარული. სატყეო კომისიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს

ტერიტორია არასდროს ყოფილა ტყის მასივი და მისი ხელახლა გაშენება შეუძლებელი იყო, რადგან სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1934 წლის გადაწყვეტილებით ხელახლა გაშენების საზღვრებიდან გამოირიცხა ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული უნაყოფო მიწები ან ნაკვეთები. სატყეო კომისიამ დაასკვნა, რომ ქალაქის განვითარების გეგმა შეიძლებოდა გავრცელებულიყო შესაბამის ტერიტორიაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორი წინა დოკუმენტი, დათარიღებული 1948 წლის 3 დეკემბრით და 1949 წლის 11 სექტემბრით, და ვეიკოუს მამულთან დაკავშირებული ექსპერტის დასკვნა იმავე დასკვნამდე მივიდა.

12. 1994 წლის 10 ოქტომბერს ათენის პრეფექტმა გადაწყვიტა, რომ ვეიკოუს მამულის ტერიტორიაზე, მათ შორის სადავო მიწის ნაკვეთზე, ხელახლა უნდა გაშენებულიყო ტყე. პრეფექტის გადაწყვეტილებაში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ მიზანი იყო „... ტყის მწვანე საფარის ხელახლა შექმნა, რომელიც განადგურდა ან გაუარესდა უკანონო კარიერის მოპოვებით და სხვა უკანონო ქმედებებით, როგორიცაა მიწის გაწმენდა და მშენებლობა, 935,483,000 კვ.მ. ფართობზე“.

13. 1994 წლის 23 დეკემბერს მომჩივნებმა პრეფექტის 1994 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოში გაასაჩივრეს. ისინი აცხადებდნენ, რომ ისინი ვეიკოუს მამულის პარსელური დაყოფით შექმნილი ქონების მფლობელები იყვნენ და ტყის ხელახალი გაშენებისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე მდებარეობდნენ. კერძოდ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ პრეფექტის გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა მათთვის სადავო ნაკვეთზე ფლობის ან საკუთრების ნებისმიერი უფლების ჩამორთმევას. 1996 წლის 26 ივლისის დამატებით შენიშვნებში მათ განაცხადეს, რომ გადაწყვეტილების მიღების ძირითადი მიზეზი იყო, სახელმწიფოს მცდელობა, შეექმნა დავა მომჩივნების ფლობის ან საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებისთვის არანაირი კანონიერი საფუძველი არ არსებობდა, რადგან ეს ტერიტორია წარსულში არასდროს ყოფილა ტყე.

14. 1995 წლის 20 იანვარს მომჩივნებმა სახელმწიფოს შესთავაზეს, შეესყიდა მათგან სადავო ნაკვეთი. ხელისუფლებამ პასუხი არ გასცა.

15. 1998 წლის 6 აპრილს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მომჩივნების სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო იმ საფუძველით, რომ პრეფექტის გადაწყვეტილება არ იყო ძალაში შესული, რადგან ის უბრალოდ ადასტურებდა სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ 1934 წელს გამოცემულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 1934 წლის გადაწყვეტილება ძალაში რჩებოდა, რადგან იგი არ გაუქმებულა სხვა ექვივალენტური მნიშვნელობის აქტით. ხელისუფლების შემდგომი ქმედებები, როგორიცაა ზოგიერთი აეროფოტოსურათის ინტერპრეტაცია, არ შეიძლება ჩაითვალოს სიტუაციის ახალ შეფასებად, რომელსაც შეუძლია პრეფექტის გადაწყვეტილების ძალაში შესვლა.

16. 1999 წლის 22 ოქტომბერს ათენის სატყეო კომისიამ, №998/1979 კანონით დადგენილი პროცედურის დაცვით, პრეფექტის 1994 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგენილ ტერიტორიაზე მდებარე 189,475 კვ.მ მიწის ნაკვეთი კლასიფიცირდა. მან დაასკვნა, რომ აქედან მხოლოდ 20,650 კვ.მ იყო ტყის მიწა და ხელახლა უნდა გაშენებულიყო ტყე. ტყის დავების გადაწყვეტის კომიტეტმა ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და ამჟამად სააპელაციო საბჭოში განიხილება სააპელაციო საჩივარი.

17. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საბერძნეთის სასამართლოებს სხვადასხვა გადაწყვეტილებაში მოუწიათ ვეიკოუს მამულის ნაწილების ქონებრივი სტატუსის დადგენა (ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები №8864/1995, ათენის სააპელაციო სასამართლოს №8314/1996 და ათენის სააპელაციო სასამართლოს №9632/2000). სასამართლოებმა აღიარეს, რომ ვეიკოუს დიდ მამულში მდებარე რიგი ნაკვეთები არ წარმოადგენდა ტყის მიწას, არამედ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, რომელიც შედიოდა ქალაქის განვითარების გეგმაში. სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებით (ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება №13789/1977, ათენის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება №7350/1978, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება №696/1980, ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს №1865/1992 და ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება №1783/1997) დაასკვნეს, რომ უფრო დიდი ტერიტორია, რომელიც მოიცავდა მომჩივნების მიერ მოთხოვნილ ქონებას, წარსულში არასდროს ყოფილა ტყის მიწა.

სამართალი

I. 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის სავარაუდო დარღვევა

22. მომჩივნები დავობდნენ 1-ელი დამატებით ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევაზე რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

“ყველა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს უფლება, შეუფერხებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას თავისი საკუთრება, გარდა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე და კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

თუმცა, წინარე დებულებები არანაირად არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას, აღასრულოს ისეთი კანონები, რომლებსაც იგი საჭიროდ მიიჩნევს ქონების გამოყენების კონტროლისთვის ზოგადი ინტერესების შესაბამისად ან გადასახადების, სხვა შენატანების ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.“

23. პირველ რიგში, როგორც მათ უკვე აღნიშნეს დასაშვებობის ეტაპზე წარმოდგენილ მოსაზრებებში, მომჩივნებმა კვლავ გაიმეორეს, რომ ის ფაქტი, რომ მთავრობამ ამ ეტაპზე არ გამოთქვა რაიმე მოსაზრება მათი საჩივრის არსთან დაკავშირებით, წარმოადგენდა ირიბ, მაგრამ ნათელ აღიარებას, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას.

24. მეორეც, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ეროვნული და რეგიონული ხელისუფლების მიერ იმ ქონების ჩამორთმევა, რასაც ისინი მათ საკუთრებად მიიჩნევდნენ, წარმოადგენდა ფაქტობრივ ექსპროპრიაციას რაიმე კომპენსაციის გადახდის გარეშე. ფაქტობრივად, სხვადასხვა საბაზის გამოყენებით, როგორცაა ტყის არსებობა შორეულ წარსულში, სახელმწიფო ცდილობდა მათი ქონების „მითვისებას“. მაშინაც კი, თუ ჩაითვლებოდა, რომ სახელმწიფომ მომჩივნებს ქონება არ ჩამოართვა, არამედ მხოლოდ შეზღუდა მისი გამოყენება, მან ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლით გარანტირებულ უფლებასა და შეზღუდვას შორის: ამ შემთხვევაში ვერანაირი საზოგადოებრივი ინტერესი ვერ გაამართლებდა შესაბამის ქონებაზე ასეთი შეზღუდვის დაწესებას და რაიმე კომპენსაციის არარსებობას, რამაც შეიძლება სამართლიანი ბალანსი აღადგინოს. ამასთან დაკავშირებით, მომჩივნებმა ხაზი გაუსვეს, რომ №998/1979 კანონის თანახმად, სახელმწიფოს შეეძლო შეეძინა ქონება, რომელიც შედიოდა ტყის ხელახალი გაშენების სქემაში. მომჩივნებმა წარადგინეს მოთხოვნა მათი ქონების შესყიდვის შესახებ, თუმცა კომპეტენტურმა ორგანოებმა არ უპასუხეს, რითაც დაადასტურეს სახელმწიფოს უარი მომჩივნებისთვის რაიმე კომპენსაციის გადახდაზე.

25. მომჩივნებმა წარმოადგინეს სასამართლო გადაწყვეტილებების დიდი რაოდენობა (ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება №8864/1995, ათენის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება №8314/1996 და ათენის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება №9632/2000), რომლებშიც საბერძნეთის სასამართლოებმა დაადგინეს ვეიკოუს მამულის ქონებრივი სტატუსი. ამ გადაწყვეტილებებიდან ირკვევა, რომ სასამართლოებმა აღიარეს, რომ ვეიკოუს დიდ მამულში მდებარე რიგი ნაკვეთები არ წარმოადგენდა ტყის მიწას, არამედ წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, რომელიც შედიოდა ქალაქის განვითარების გეგმაში. სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებით (ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება №13789/1977, ათენის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება №7350/1978, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება №696/1980, ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება №1865/1992 და ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება №1783/1997) დაასკვნეს, რომ მომჩივნების საკუთრებით დაფარული უფრო დიდი ტერიტორია წარსულში არასდროს ყოფილა ტყე.

26. მომჩივნებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომლებმაც ტყის ხელახალი გაშენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს, ტერიტორია საჯარო საკუთრებად მოიხსენიეს და სრულიად უგულებელყვეს მომჩივნებისთვის სასარგებლო სასამართლო გადაწყვეტილებები. მომჩივნები ასევე ამტკიცებდნენ, რომ სადავო ტერიტორია არ შეიძლება წარმოადგენდეს ტყეს ნიადაგის ზედა და ქვედა ფენების ბუნებისა და შემადგენლობის გამო. ასეთი დასკვნის გამოტანა შესაძლებელი იყო ტექნიკური ანგარიშებისა და ექსპერტული შეფასებების სერიიდან, რომლებიც ჩატარდა 1993, 1995, 1996, 1997 და 2000 წლებში მეტყვევების, უნივერსიტეტის პროფესორებისა და გეოლოგიისა და მეტყვევების ექსპერტების მიერაც კი. გარდა ამისა, გარკვეული ადმინისტრაციული დოკუმენტები ან გადაწყვეტილებები (სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტყის რუკა, 1980 წლის 28 აგვისტოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც ადგენდა ამ ტერიტორიისთვის სამშენებლო რეგულაციებს, 1991 წლის 11 ნოემბრის პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც ამტკიცებდა გალაცის ტერიტორიის განვითარების გეგმას და ათენის სატყეო კომისიის 1968 წლის 14 ნოემბრის დასკვნა) ადასტურებდა იმ მოსაზრებას, რომ სადავო მიწა ყოველთვის განიხილებოდა, როგორც სამოვრები ან სახნავ-სათესი მიწა. გარდა ამისა, 1957 წელს ხელისუფლებამ ამ ტერიტორიაზე ტყის მიწების საზღვრები მონიშნა სადავო ნაკვეთების ჩართვის გარეშე.

27. დასკვნის სახით, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ვერანაირი საზოგადოებრივი ინტერესი ვერ გაამართლებდა მათი საკუთრების უფლების ასეთ მკვეთრ შეზღუდვას, იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ნებისმიერი სახის ტყის ხელახალი დარგვა შეუძლებელი იყო ნიადაგის ტიპისა და ხარისხის გამო.

28. მთავრობის არგუმენტის მთავარი არსი იყო ის, რომ მომჩივნების „მფლობელობაში“ ჩარევა, 1-ელი დამატებითი ოქიმს 1-ელი მუხლის მნიშვნელობით, არ მომხდარა. მთავრობა მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო იყო ვეიკოუს დიდი მამულის მფლობელი და რომ მხოლოდ საბერძნეთის სასამართლოები იყვნენ კომპეტენტური სადავო ნაკვეთების საკუთრების სტატუსის გადაწყვეტაში.

29. მომჩივნების მიერ მხოლოდ ის მტკიცება, რომ ისინი ფლობდნენ ამ ნაკვეთებს, რომლებიც ზუსტად არ იყო განსაზღვრული მათ განაცხადში, არ ადასტურებდა, რომ ისინი მართლაც ფლობდნენ მათ. სადავო მიწაზე საკუთრების უფლების დამტკიცების მცდელობისას, მომჩივნები დაეყრდნენ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და ადმინისტრაციულ დოკუმენტებს, რომლებიც ეხებოდა სხვა ქონებას (როგორც მიწის საკუთრების, ასევე მისი ტყის მიწად კლასიფიკაციის კუთხით) და ცდილობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, როგორც სამოქალაქო სასამართლოს გამოყენებას, რომელსაც შეეძლო მათი ნაკვეთების საკუთრების საკითხის გადაწყვეტა ან იმის დადგენა, წარმოადგენდა თუ არა სადავო მიწა წარსულში ტყეს. თუმცა, შიდა

სასამართლოებს არ მიუღიათ გადაწყვეტილება მომჩივნების ნაკვეთების საკუთრებასთან დაკავშირებით. უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მხოლოდ ის გამოიკვლია, დაკმაყოფილებული იყო თუ არა მიწის ტყის ხელახალი გაშენების ტერიტორიის დანიშნულების პირობები, კერძოდ, იყო თუ არა პრეფექტის გადაწყვეტილება კანონიერი და საკმარისად გამართლებული კონსტიტუციის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და №998/1979 კანონის დებულებების შესაბამისად. მთელი ვეიკოუს მამულის საკუთრების საკითხის გადაწყვეტა ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო შიდა სასამართლოებში, რადგან რამდენიმე სარჩელი იყო შეტანილი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის შესაბამისად) გარკვეული ნაკვეთების საკუთრების მოთხოვნით. თუმცა, მომჩივნები არ იყვნენ მოსარჩელებს შორის.

30. მთავრობამ დასძინა, რომ არც უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებამ და არც პრეფექტის გადაწყვეტილებამ ტყის ხელახალი გაშენების შესახებ არ დაარღვია მომჩივნების უფლებები 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის საფუძველით. კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ პრეფექტის გადაწყვეტილება არ წარმოადგენდა ძალაში შესულ აქტს, არ იყო თვითნებური. გარდა ამისა, კონსტიტუციის 117-ე მუხლის თანახმად, ტყეების დაცვა გარანტირებული იყო ყოველგვარი ვადის შეზღუდვის გარეშე და უკანონო განადგურების ან ტყეების გაჩეხვის მიუხედავად. ტყეების ხელახალი გაშენების გადაწყვეტილება არ იყო ხელისუფლების შეხედულებისამებრ მინდობილი, არამედ უნდა მიღებულიყო საჭიროების შემთხვევაში და როდესაც დაკმაყოფილებული იყო 117-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები. უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ, დიდი რაოდენობით მტკიცებულებებზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ სავარაუდო იყო, რომ სადავო ტერიტორია წარსულში ტყე იყო. აქედან გამომდინარე, პრეფექტის გადაწყვეტილება არ იყო თვითნებური, არამედ ნაკარნახევი იყო საზოგადოებრივი ინტერესების, კერძოდ, გარემოს დაცვის მიზეზებით.

31. მთავრობამ გააპროტესტა მომჩივნების მიერ მათი საქმის დასასაბუთებლად წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა. ისინი მიუთითებდნენ ათენის სატყეო კომისიის მიერ გაცემულ სხვა დოკუმენტებზე და ტყის დავების სააპელაციო საბჭოს №1/2001 გადაწყვეტილებაზე, რომელშიც მომჩივნების დოკუმენტებში მითითებული დასკვნებისგან განსხვავებული დასკვნები იყო გამოტანილი.

32. და ბოლოს, მთავრობა ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოსთვის შეუძლებელი იყო სადავო ნაკვეთების შეძენა №998/1979 კანონის დებულებების შესაბამისად, რადგან ის ყოველთვის მათ საკუთარ საკუთრებად თვლიდა.

33. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლი რომელიც არსებითად უზრუნველყოფს საკუთრების უფლებას, სამ განსხვავებულ წესს მოიცავს (იხ. *James and Others v. the United Kingdom*, judgment of 21 February 1986, Series A no. 98, pp. 29-30, § 37). პირველი წესი, რომელიც ჩამოყალიბებულია პირველი აზვაციის პირველ წინადადებაში და ზოგადი ხასიათისაა, აყალიბებს საკუთრებით მშვიდობიანი სარგებლობის პრინციპს. მეორე წესი, რომელიც იმავე პუნქტის მეორე წინადადებაშია მოცემული, მოიცავს ქონების ჩამორთმევას და მას გარკვეულ პირობებს უქვემდებარებს. მესამე, რომელიც მეორე პუნქტშია მოცემული, აღიარებს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, სხვა საკითხებთან ერთად, აქვთ უფლება, გააკონტროლონ ქონების გამოყენება ზოგადი ინტერესების შესაბამისად. მეორე და მესამე წესები, რომლებიც ეხება საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლებაში ჩარევის კონკრეტულ შემთხვევებს, უნდა განიმარტოს პირველ წესში ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით.

34. რაც შეეხება საკითხს, არსებობს თუ არა „მფლობელობა“ 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის მნიშვნელობით, სასამართლოს კომპეტენცია არ არის გადაწყვიტოს სადავო მიწის საკუთრების საკითხი. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომჩივნებისთვის საკუთრების საკითხი სამოქალაქო სასამართლოებმა ვერ დაადგინეს. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობამ წამოჭრა პრეტენზია, რომ დასაშვებობის ეტაპზე ამ საკითხთან დაკავშირებით შიდასამართლებრივი საშუალებები არ იყო ამოწურული. სასამართლომ იგი არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ დასაშვებობის თვალსაზრისით, პრეფექტის მიერ ტყის ხელახალი გაშენების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების იურისდიქციით, ერთადერთი სასამართლო იყო უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო. რაც შეეხება არსებით საკითხს, სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოსთვის წარდგენილ საჩივარში მომჩივნებმა მიუთითეს ის დოკუმენტები, რომლებზეც ისინი ამყარებდნენ სადავო მიწის საკუთრების მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ევალებოდა საკუთრების საკითხის გადაწყვეტა და სინამდვილეში არც შეეძლო ამის გაკეთება, უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებს რომლებიც „მესაკუთრეებად ითვლებოდნენ“, ჰქონდათ *locus standi*.

35. სასამართლოში წარმოების მიზნებისათვის, განმცხადებლები შეიძლება ჩაითვალოს სადავო მიწის მესაკუთრეებად ან სულ მცირე ისეთი ინტერესების მქონედ, რომელიც ჩვეულებრივ დაცული იქნებოდა პირველი ოქმის პირველი მუხლით.

36. სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის არგუმენტებს, რომ ტყეების დაცვა გარანტირებულია დროის შეუზღუდავად და უკანონო განადგურების ან ტყეების გაჩეხვის მიუხედავად. გარდა ამისა, ტერიტორიის, როგორც ტყის ხელახალი გაშენების ტერიტორიის განსაზღვრა და ნებისმიერი გამოყენების აკრძალვა, რომელიც

ხელს შეუშლის ტყის ხელახალ გაშენებას, არ არის ხელისუფლების შეხედულებისამებრ, არამედ სავალდებულოა და უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ზედმიწევნით აღასრულა ეს პრინციპები ქვეყნის ტყის რესურსების დასაცავად.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მომჩივნები დავობენ, რომ პრეფექტის მიერ ამ საქმეში ტყის ხელახალი გაშენების გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე იქნა მიღებული, რადგან მთელი ტერიტორიის გეოლოგია ტყის გაშენებისთვის შესაფერისი არ იყო. სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო მიწის ნაკვეთის ბუნებასთან დაკავშირებით არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებების დიდი რაოდენობა. როგორც ორივე მხარემ აღნიშნა, არსებობდა სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, ექსპერტების შეფასებები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მათი საქმის დასასაბუთებლად. თუმცა, სასამართლოს კომპეტენცია არ არის ასეთი ტექნიკური საკითხის გადაწყვეტა.

37. სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო მიწის ნაკვეთის ბუნებასთან დაკავშირებით არსებობს ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებების დიდი რაოდენობა. როგორც ორივე მხარემ აღნიშნა, არსებობდა სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები, ექსპერტების შეფასებები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას მათი საქმის დასასაბუთებლად. თუმცა, სასამართლოს კომპეტენცია არ არის ასეთი ტექნიკური საკითხის გადაწყვეტა. სასამართლო აღნიშნავს, რომ პრეფექტის 1994 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სოფლის მეურნეობის მინისტრის №108424/1934 გადაწყვეტილებას. სასამართლოს აზრით, ხელისუფლება დამნაშავე იყო ასეთი სერიოზული ზომის გაცემაში, რამაც გავლენა მოახდინა მომჩივნებისა და სხვა რამდენიმე პირის მდგომარეობაზე, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ მიწაზე საკუთრების უფლებებზე სიტუაციის ხელახალი შეფასების გარეშე, როგორც ეს №108424/1934 გადაწყვეტილებაშია ასახული. თუმცა, უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარყო მომჩივნების საჩივარი მხოლოდ იმ საფუძველით, რომ პრეფექტის გადაწყვეტილება არ იყო ძალაში შესული, რადგან ის უბრალოდ ადასტურებდა სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ 1934 წელს გამოცემულ გადაწყვეტილებას. ასეთ რთულ სიტუაციაში, როდესაც ნებისმიერ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას შეუძლია მძიმე ტვირთი შეუქმნას დიდი რაოდენობით ადამიანების საკუთრების უფლებებს, ასეთი წარმოების წესი არ შეიძლება ჩაითვალოს 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის გათვალისწინებულ უფლებასთან შესაბამისობაში და არ უზრუნველყოფს ადეკვატურ დაცვას ისეთი პირებისთვის, როგორიცაა მომჩივნები, რომლებიც კეთილსინდისიერად ფლობენ ან ფლობენ ქონებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გავითვალისწინებთ, რომ საბერძნეთის კანონმდებლობით კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა არ არსებობს.

38. სასამართლო მიიჩნევს, რომ სიტუაცია, რომელზეც მომჩივნები დავობენ, ხვდება 1-ელი დამატებითი ოქმის 1-ელი მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში და რომ არ არსებობდა გონივრული ბალანსი საჯარო ინტერესსა და მომჩივნების უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის.

39. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა 1-ელი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას.